

რედაქცია: სოლოლოკე, ბაღის ქუჩაზე, შ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ ТѢЛѢ. ВЪ редакціи газ. „Дროаბა“.

გაზეთის ფასი: მთელის წლი-სა—8 მან., ნახევარწლისა—5 მან., სამისთვიის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ფრთხილ

ყოველ დღე ორუბათს გარდა

ფასი განცხადებისა: დღე ერთი ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრობის სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივი სტრიქონით—5 კაპ., პატარაით—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბედათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

სული-წმინდის მოწმის დღესასწაულოების გამო საშობათს, 22 მაისს, გაზეთი არ გამოვა.

დასასრული უფ. შ. წერეთლის სტატიისა—„პაპუხი თ. ნ. ლადიანს“, რედაქციისაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, ვერ იბეჭდება ამ ნომერში.

ორუბათს, 21 მაისს უფ. არწრუნის ახალ თეატრში იქნება კონცერტი

ა. გ. ვენუიკოვისა
ბილეთების აღება შეიძლება ლანკოს მუნიციპალურს მალაზიაში.
(2—2)

ტელეგრაფები
(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

ფილიპოპოლი, 15 მაისს. დღეს მოვიდა აქ აღმოსავლეთ რუმელიის ახალი დენგროლ-ლუბერნატორი პლეკო-ფაშა (თ. პლეკანდრე მოგორიდესი), რომელსაც ხალხი დიდის აღტაცებით შეეგება.

რომი, 16 მაისს. მტნის ცეცხლ-მქშინავმა მთამ დაიწყო ცეცხლის ამოშვება; მესსინაში და რეჯიოში საშინელი ქვის წვიმა იყო; რეჯიაში მიწის-ძვრა მოხდა.

ფილიპოპოლი, 15 მაისს. ძალაქში შემოსვლის დროს პლეკო-ფაშამ, ხონტქრის ბრძანების წინააღმდეგ, მოიხალაფესი და დაიხურა ბოლგარიული ქუდი;—ეს ბოლგარიის დეპუტაციამ ურჩია, რუსის ლენგრალი სტოლიპინი ხვალ მიდის ფილიპოპოლიდამ.

პეტერბურგი, 18 მაისს. დიდი კნიაგინა მარია პავლეს ასული ძალიან ავით შეიქნა; დასუსტებულია.
ბაზენს „ახალ ღრობებს“ შეუტყუია; რომ იმ სახელმწიფო დამნაშავეს სოლოვიევის დამცველად, რომელმაც ხელმწიფე იმპერატორის მოკვლა განიზრახა, დანიშნულია ნაფიცი ვეჟილი ტურჩანინოვი.

ოღესსა, 17 მაისს. ბოლგარიაში მყოფ

რუსის ჯარმა დაიწყო უკან დაბრუნება; ოთხი გემით მოჰყავთ ჯარები და სურსათი და სამხედრო იარაღები მოაქვთ. რამდენიმე პოლკი უკვე მოვიდა ოღესსაში.

ლონდონი, 17 მაისს. აქ მოვიდა დეპეშა ბანდამიკიდან, რომ ინგლისის ჯარებს ბრძანება მისვლიათ ავღანის ახალს სამხედროზე დაიწვიან.

მესსინი, (იტალიაში) 17 მაისს. მტნის მთის დასავლეთ გვერდზე ახალი პირი გამოჩნდა, რომელიც ცეცხლის ტალახსა და ქვებს ისვრის; ახლო-მანლო სოფლებს შიში აქვსო, ხალხი მირბის.

საქართველო

ჩვენი თავად-აზნაურობა
(შეჩვენები წოდებანდელის კრებების გამო)
სტატია მეოთხე და უკანასკნელი *)

საქართველოს თავად-აზნაურობა, როგორც საზოგადოთ ჩვენი ერთი, არის გულ-კეთილი, ძმის შემბრალებელი, რაინდული და უანგარო. როგორც აგრეთვე მთელ საქართველოს ერთ, იმას აქვია განათლება, სწავლა.

მაგრამ დანარჩენ ხალხზე ის უფრო მდიდარია და ამ მომეტებულმა შეძლებამ იმას მომეტებულის განათლების ღონის-ძიებაც მისცა; რაც უნდა იყოს, საქართველოს თავად-აზნაურობა განათლებითა და მოქალაქობრივ ცხოვრებით ცოტათი მაინც წინ არის წასული საქართველოს გლენზე. მაინც კი არიან ამ ქაშად ჩვენში განათლებული კაცები, სულ ყველა თითქმის თავად-აზნაურთაგანი არიან.

ეს შედარებით მომეტებული განათლება ზნეობითს ვალს სდებს ჩვენს თავად-აზნაურობას და იმის წარმომადგენელ მოწინავე კაცებს. მსენი უნდა იყვნენ გზის მაჩვენებელი მთელის ჩვენის ერთი საზოგადო ცხოვრებისა; ამათი ზნეობითი მოვალეობა არის, მოსპოს სხვა-და-სხვა წოდებაში ყოველ გვარი განკრძობება, გაყოფა ინტერესებისა და დამყაროს ერთობა და ძმობა; ამათი ზნეობითი მოვალეობაა, უკეთესი ცხოვრების გზისაკენ, საიმედო მომავლისაკენ, კაცობ-

*) „ღრობა“, № 99, 100 და 103.

რათუ, ლტოლვილებსაქენ წაიყვანოს ხალხი, რომელიც მისს ცხოვრებას, მისს მაგალითს შე ჩერება.

ჩვენი უბედურებაც ეს არის, რომ ჯერ ჩვენს საზოგადოებას და ხალხს ამისთანა განათლებული და მოწინავე კაცები არა ჰყავს. მანათლებული და მოწინავე კაცები გვეყვანან; მაგრამ ესენი საზოგადოებისა და ხალხის წარმატებაზე და კეთილ-დღეობაზე იმდენად ზრუნავენ, რამდენათ მე და შენ, მკითხველო, ვზრუნაეთ ამ ქაშად შარშანდელს თოვლზედ. მანათლებას ესენი მხოლოდ იარაღთ ხმარობენ იმისთვის, რომ თვითონ ნეტარებით იცხოვრონ. ამათი სწავლა ჩნდება იმით, რომ სამსახურში შედიან და „თბილ ადგილებსა“ და საკმაო ჯამაგირებს იღებენ. და თუ საზოგადო ასპარეზზედ გამოვიდნენ, თუ საზოგადოების სამსახურის სურვილი განაცხადეს, ეს საზოგადო სამსახური და ასპარეზიც კეთდება მალე თავ-მოყვარეობისა და კერძო სარგებლობის დასაკმაყოფილებელ ასპარეზად.

არაფინ არ ჰფიქრობს, ვერაფინ ვერ ჰბედაეს—პირ-და-პირ, მხნედ, შეუკრთომელად და გაბედულად წინ აღუდგენს საზოგადოების ცრუ და მანებელ მიმართულებასა და აზრს; ვერცერთი ვერ ახერხებს—პირში უთხრას საზოგადოებას, რომ ის ცუდ გზაზე მიდის, რომ ეს სიკეთეს არ დააყრის ჩვენს ქვეყანას, რომ ხალხის ბედნიერება ამა-და-ამ საშუალებით მოიპოვებო და სხე.

შიმეორებთ, ეს არის ჩვენი უბედურება, რომ ჩვენ ამ ქაშად ამისთანა მხნე, გაბედული და გონიერი მოწინავე კაცები არა გვეყავს. ძაცობრიობის წარმატება ყოველთვის და ყველგან ამ გზით წასულა: რამდენსამე სხვებზე უფრო გონიერ, განათლებულ და დაწინაურებულ პირთ უქადაგნიათ დანარჩენის ხალხისათვის რომელიმე ახალი აზრის ანუ ახალი საზოგადო სასარგებლო საქმის შემოღება, უქადაგნიათ იქამდინ, სანამ ხალხის უმეტესობა არ დაუჯერებიათ. ხშირად ამგვარ საქმისათვის თავიც შეუწირავთ, ხშირად საზოგადო ცრუ-მორწმუნობას და უმეცარებას უმსხვერპლია ზოგიერთი მხნე და თავ-გამოდებული კაცი. მაგრამ ბოლოს იმას მაინც თავისი გაუტანია, იმის სიკვდილის, იმის წვალებულის ცხოვრების შემდეგ დაჯერებულან, რომ ის მართალი იყო, რომ ის ქვეყნის სასიკეთო საქმეს უქადაგებდა ხალხსა.

ამისთანა, ქვეყნისათვის თავ-განწირული გვამები ერთ დროს ჩვენს ერშიაც ყოფილა; ყოფილან პირები, რომელთაც

თავი დაუდევით ერის სიკეთისათვის. წავიდა ის დრო; ახლა ყველა პრაქტიკოსები შეიქნენ. თავის ცხვირს იქით, თავის კერძო ინტერესებს იქით ახლა აღარავინ აღარ ჰსურს ეინმე ანუ რამე დაინახოს. „მე თუ არ ვიქნები, ქვა-ქვაზე დაცნულარ ყოფილაო!“ — ეს საბაგელი ეგონისტური სიტყვები ჩვენ განათლებულნი ვართ, კი დღეისათვის, ცხოვრების გზის მიხედვებელ ვარსკვლავად შექნილა. საზოგადო ინტერესს იმდენათ ვემსახურებით, რამდენათ ის კერძოთ ჩვენი ჯიბისათვის გამოსადგვია. საზოგადო სამშობლოს იმდენათ ვემსახურებით, რამდენათ ეს არგებს ჩვენს ტკბილს, შეურყვევლს, ნეტარებითს ცხოვრებას. რის მამულიო! რომელი კაცობრიობაო! ხალხი ვინ არისო!...

მე ვათავებ. უკანასკნელი ჩემი სიტყვა იქნება შემდეგი: სანამ ჩვენში არ გადავადრდება ის განვითარების თაობა ესრედ წოდებულის განათლებულის მოწინავე კაცებისა, რომელნიც ყოველ საზოგადო საქმეში პირ-მოთწევით, იეზუიტურად და თავის კერძო სარგებლობის სდევნით მოქმედობენ; სანამ ჩვენი თავდაზნაურობა არ გაივებს, რომ იმის პირ-და-პირი სარგებლობა მოითხოვს გლახანს, ხალხთან შეერთებას, იმასთან ხელი-ხელ გაყრით ერთად მსვლელობას; სანამ, ერთის სიტყვით, ჩვენ არ გავივებთ, რომ ჩვენი ძალა ახლა ნამდვილი, ჭეშმარიტი განათლება და ერთობაა, მანამ ჩვენი ხალხი მუდამ უბედური და დაცემული ხალხი იქნება...

ს. მ.

დღიური

* * ჩვენ შევიტყუეთ, რომ ბორის სასწავლებლო ინსტიტუტში, ქართული ენის მასწავლებლის თანამდებობა შტატის თანამდებობად ჩარიცხულია, ე. ი. ამ ენის მასწავლებელს მიენიჭება ყველა ის უფლება, რაც სხვა ენებისა და საგნების მასწავლებელთა აქვთ.

ამბობენ, რომ ძველთა სამასწავლებლო მაზრის მზრუნველს (პოპეიტელს) უფ. იანოვსკის განზრახვა აქვსო, რომ ალექსანდროვის სამასწავლო ინსტიტუტისა და აგრეთვე თფილისისა და მუთაისის გიმნაზიების ქართული ენის მასწავლებელთაც მიანიჭოს ამგვარივე უფლებათა, რომ ამათი თანამდებობაც შტატში ჩაითვალოსო.

რალა თქმა უნდა, რომ ამგვარი განკარგულება ყოველად-გონიერი განკარგულება იქნება და სანატრელია, რომ ეს საქმე რაც შეიძლება მალე მოიყვანონ სისრულეში, როდესაც ქართული ენის მასწავლებელს მიენიჭება ყველა ის უფლება, რაც სხვებსა აქვთ, როდესაც იმას ექმნება საკმაო ჯილდო თავის შრომისათვის, მაშინ, იმედია, უფრო ხეირიანი, უფრო მკოდნე და უმაღლეს სასწავლებელში კურს-შესრულებულიები დიდის სიამოვნებით მოჰქიდებენ ხელს ამ თანამდებობას.

* * არაგვის ხეობიდან გვწერენ, რომ წრეულის იქითკენ საშინლად არის ხალხში ციებ-ცხელება გავრცელებულიო.

* * ჯავახეთიდან ცუდი ამბები მოგვდის ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოების სასოფლო შკოლებზედ. სხვათა შორის, ერთი დამაბრკოლებელი მიზეზი ამ შკოლებში სწავლის საქმის ცუდად მსვლელობისა ის არისო, რომ შაგირდებს უცნობს, გაუგებარს ენაზედ ასწავლიანო, აქამდინ ჯერ არ მოუწყვიან იმ პედაგოგიურ ჭეშმარიტებასაო, რომ უმწიფოს ყოველი საგნის სწავლა თავის საშობლო ენაზედ უნდა გადასცეს მასწავლებელმაო.

* * უფ. როინოვის ფოტოგრაფიაში არის ახლად-გადაღებული სურათი საქართველოს უკანასკნელის მეფის ძის ალექსანდრე ბატონიშვილისა.

* * ბუშინწინ, პარასკევს, ძველთა მთავარ სამმართველოში იყო ვაჭრობა სალიანის თევზის იჯარით აღებაზედ ერთის წლის ვადით ამ 1 ივლისიდან მომავალი წლის 1 ივლისამდინ. ღირსა უფ. თაიროვს 405,000 მანეთად.

* * „თფილისის მოამბე“ გეცნობებს, ვითომც თფილისის მთავარ პოლიციემისტერს განკარგულება მოეხდინოს, რომ სარაკიპო სახლები ქალაქს გარეთ გადაიტანონ და შემდეგშიაც არაგვის არ მიეცემა უფლება, რომ ამ გვარი სახლები სადმე შუაგულ ქალაქში გახსნასო.

„დროების“ კორექსიონი

სამეგრელოდამ, 10 მაისს. სამეგრელო-აფხაზეთს აქვს ერთად-ერთი სასწავლებელი, რომელიც აძლევს (თუ არ აძლევს, უნდა აძლევდეს) ჩვენ მოზარდ-მოსწავლე სახლგაზღობას ცოტაოდენ განათლებას. ეს არის სამეგრელოს 4 კლასიანი სასულიერო სასწავლებელი.

მაგრამ, საუბედუროდ, ეს სასწავლებელი ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას თავისი მოუხერხებელი და ცუდი მდგომარეობისა გამო მარტილში. ცოტა ხანს მუთაისში იყო, სადაც სამღვდლო პირების უმეტესი ნაწილისთვის გარდა მიუწვდენელი; ვისაც შეეძლო მუთაისში ბავშის წამოყვანა და შენახვა, ის სხვა სასწავლებელსაც იშოვნინდა. მაგრამ ამისთანა შემძლე პირები ცოტანი არიან სამეგრელო-აფხაზეთში.

საკირო იყო ისევე სამეგრელოში გადასულ იყო სასწავლებელი. ბადვიდა კიდევ, მაგრამ გადვიდა ისევე მარტილში, სადაც აქამდის არსებობს და სადაც სასწავლებელი არც ყოფილა, არც არის და არც იქნება კარგს და მოხერხებულ მდგომარეობაში. თუ რა მდგომარეობა აქვს აქ სასწავლებელს, ამაზე საკმაოდ ითქვა თქვენ ბატონიშვილ გავითში, უ. რედაქტორო. მე აქ მოვიხსენებ მხოლოდ უმთავრეს მიზეზებს,

მარტილი არის მონასტერი, რომელიც მიუქნჭულია სამეგრელოს ყოველგვარი და საკუთარ იმერეთის იეროქიუს სპეციალურზე. ადგილი არის მეტად დაცემული, ღარიბი, მიყრუებული; არა აქვს მიმოსვლა და სხვ.

ახლა, ჩვენდა სასიხარულოდ, ეს სასწავლებელი მოეღოს რეფორმას. ამას წინათ მარტილში იყო სამეგრელოს სამღვდლოების კრება. ამ კრებაზე ხმის უმეტესობით გადაწყვიტეს სასწავლებლის მარტილიდან გადატანა უფრო მოხსენებულის ადგილზე.

მაგრამ იმ კითხვაზე — თუ სად გადაიტანათ სასწავლებელიო, გაჩნდა პარტიობა სამღვდლოებაში. ძალაქში უნდა გადავიტანოთო, სთქვეს. — რომელ ქალაქში? მართი პარტია იძინის სენაკშიო, მეორე ზუგდიდშიო. იმაზე არაფერს ამბობდენ, თუ რით ემჯობინება ერთი მეორეს და როგორ გაუშვობდეს სხვა სასწავლებლის მდგომარეობა ან ერთში ან მეორეში. რადგან პარტიები ერთმანეთს ვერ ეთანხმებოდენ, ვერა გააწყეს რა და სასწავლებლის გადატანა მიანდევს მთავრობას და სასწავლებლის მმართველებს.

იმედი გვაქვს, სასწავლებლის, საქმე, როგორც აქამდის, არ წავა ცუდად, რომ ისევე სეირნობა დასჭირდეს. ზემო დასახლებულ სამეგრელოს ქალაქებიდან, ჩვენის აზრით, (ზუგდიდი*) აჯობებს სენაკს. სენაკი არის რკინის გზის სტანცია, მაგრამ სამეგრელოს უმეტესი ნაწილისთვის და მთელი აფხაზეთ-სამურაზაყანოსგან დაშორებული. მაშ აქ სასწავლებელი ისეთივე კუნჭულში იქნება, როგორც მარტილში. ამას გარდა ახალ-სენაკი არის ისეთივე ღარიბი და დაცემული ადგილი, როგორც მარტილი; აქ ცხოვრება, რჩენა ძვირი და ძნელი იქნება. ახალ-სენაკი დავარდნილი, ჭარბი ადგილია, სადაც ციებ-ცხელება ხშირია მუდამ; თუ ცოტა წვიმა მოვიდა, ისეთი ტალახი დადგება, ვაცს გაუჭირდება მუხლამდი ტალახში გავლა-გამოვლა. წარმოადგინეთ თქვენ ბავშვებისთვის როგორ ძნელი იქნება კლასში მისვლა-მოსვლა. წყალი არ არის. საზოგადოდ სენაკი ზუგდიდს ბევრათ ჩამოუყვარდება სხვა მხრითაც ზუგდიდი წარმოგვიდგენს შუაგულ ადგილს.

ზუგდიდი არის მდიდარი ბუნებით, ყოველნაირი მოსავლით, ასე რომ აქ ბავშვების შენახვა და რჩენა ერთი-ორად უფრო მოხერხებული და იაფი იქნება. მდებარეობა მალლობ და გაშლილ ადგილზე; არ აკლია წყალი, სენაკზე უფრო სუფთაა, არ აკლია ადგილი გასაუფლო-გამოსავლელი.

მართალია, ზუგდიდი არ არის, რომ

*) ზუგდიდში არის ორ-კლასიანი სახორციელო სასწავლებელი, მაგრამ ეს სასწავლებელი ვერაფრად ვერ სჯობიან სოფლების შკოლებს; ზოგიერთს კიდევ ჩამოუყვარდება. მარტილის სასწავლებელი თუ აქ გადმოვიდა, იმედია გასწორდეს და წინ წაიწიოს ამ სასწავლებელსა.

გორც ახალ-სენაკი რკინის გზის სტან-
ცია, მაგრამ რკინის გზას სასწავლებლი-
სთვის იმდენი მნიშვნელობა არ აქვს,
რომ მარტო ამისთვის გადავიდეს სასწა-
ვლებელი. სრულებით ეყოფა ის ფოფ-
ტის გზა, რომლითაც ესლა სარგებლობს
ზუგდიდი; ყოველ დღე დილით და სა-
ღამით მიდის და მოდის დილიქანსი
ახალ-სენაკიდან (სულ 40 ვერსტია);
როცა საჭირო იქნება, ტროიკა, ფე-
ტონია და სხ. ამ მხრითაც ზუგდიდი
სჯობია სენაკს.

ყველა ამასთან ზუგდიდი შეეწევა სა-
სწავლებელს იმ შემთხვევაში, თუ იქ
გადიდა; ექვსი ათასი მანეთს ფულად,
ადგილს და მასალას: ქვა, კირი, ხეს სა-
სწავლებლის შენობისთვის მუქთად. იმე-
დია აგრეთვე შემწეობას მიცემს თ. ნი-
კო მენგრელსკი, თუ სასწავლებელი მათ
სამყოფ ადგილში იქნება.

საბურველია, რომ ყველა ამავებს ყუ-
რადღებდა მიიქციონ იმათ, ვისი საქმეც
არის მარტვილის სასწავლებლისათვის
ადგილის ამორჩევა.

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი

ლონდონის გაზეთს „ტიმსში“ და-
ბეჭდილია მენიღამ მიღებული დეპეშა,
რომელიც გვაცნობებს, რომ აესტრის
მმართველობაში მიიღო რუსეთის იმპე-
რატორისაგან ამბავი, რომ ამ წლის
ივლისის 25-მდინ რუსის ყველა ჯარები
გამოყვანილი იქნება აღმოსავლეთ რუ-
სეთიდან.

— ამავე გაზეთში იწერებინან 8 მაისს
სტამბოლიდან:
პარლკონიკი უილსონი, რომელიც
ინგლისის კონსულად არის დანიშნული
მცირე აზიაში, ამ დღეებში მიდის აქე-
ლამ და მიჰყავს თან რამდენიმე აფიცე-
რი და ჩინოვნიკი, რომელნიც ინგლი-
სის კონსულებად იქნებიან მცირე აზიის
სხვა-და-სხვა ქალაქებში და თვალ-ყური
უნდა ადევრონ ამ ქვეყანაში ახალი მმარ-
თველობის წესის (რეფორმების) შემო-
ღებასა.

— მრთს რუსულ გაზეთში („ბო-
ლოსში“) დაბეჭდილი იყო ამას წინათ
მზურგეთიდან(?) მიღებული დეპეშა,
რომელიც გვაცნობებდა, რომ სომხეთ-
ში (ანატოლიაში) მოვიდნენ რამდენიმე
ინგლისელები, რომელთაც თავიანთ
მმართველობისაგან მინდობილი აქვთ
ადგილობრივი ხალხის ხასიათი, ჩვეულებ-
ა და ცხოვრება შეისწავლონ; ეს ინგ-
ლისელები რამდენჯერმე ჩვენს სამზღვარ-
ზედაც გადმოვიდნენ.

საზარდად

მოგვხსენებთ, რომ საფრანგეთის უც-
ხო ქვეყნის საქმეთა მინისტრმა მადინგ-
ტონმა ყველა უმთავრეს სახელმწიფოებს

მისცა წინადადება, რომ ითავონ საბერძ-
ნეთისა და მამალეთის მორიგება იმ
რიგზე, როგორც ბერლინის ტრაქტატში
არის მოხსენებული. ყველა სახელმწი-
ფოები დათანხმდნენ ამ წინადადებაზედ
და ამის გამო ახლა გადაწყვეტილია,
რომ, მამალ-ს. ბერძნეთის სამზღვრე-
ბის შესასწორებლად და ამათ შუა უკ-
მაყოფილების მოსასპობლად, სტამბოლ-
ში შეიკრიბოს კონფერენცია უმთავრეს
სახელმწიფოთა ელჩებისაგან და ამათ
გათავონ ეს საქმე. ამბობენ, რომ მხო-
ლოთ ერთი ინგლისი არ არის ამ აზრის
თანახალი.

საზარდად

იუსტიციის მინისტრს გამოუცხადებია
უკიდურეს მარცხენა მხრის დებუტატ-
ბისათვის, სამინისტროს გარდაწყვეტილი
აქვს, რომ 5 ივნისის შემდეგ აპატიოს
როშტორს, ბლანკისა და მალესს, რო-
მელნიც 1871 წლის პარიზის არეულო-
ბაში (პომუნაში) მონაწილეობის მიღე-
ბისათვის არიან დასჯილი.

— საფრანგეთის სამინისტრომ გარ-
დაწყვეტა, რომ მკის არხივისკაოსი
მისცეს საპარტალში იმ შეურაცხყოფი-
სათვის, რომელიც იმან მიაყენა ამას წი-
ნად, თავის ქადაგების დროს, ახლანდელ
საფრანგეთის რესპუბლიკურ მმართვე-
ლობას. ეს შეურაცხყოფა მდგომარეობ-
და იმაში, რომ პატივცემულ მონსე-
ნიორმა უშვრის სიტყვებით გალანძღა
მინისტრები, მგლები არიან ისინიო, რომ-
ელთაც ჰურთ შესჭამონ ეკლესია,
დაამცირონ სარწმუნოებაო, მაგრამ იმა-
თი კუჭი ვერ მოინდობს ღვთის გმო-
ბასაო და სხვ.

ნამდვილზედ აწერია:
მამტვიცებ ხელმწიფე დიდი მთავრის ძაყა-
სის ნამესტნიკის სხვაგან მყოფობისგანა თანა-
შემწე მისი გენერალ-ადიუტანტი კნიაზი სვი-
ტოპოლკ-მირსკი.
31 მარტსა 1879 წ.
მ. თვლისი.

წესდებულება

თვლისის საზოგადოებისა, რომ-
ელსაც წიგნის ცოდნა უნდა გა-
ახშიროს მართვება შუა, სადაც
მოსახლოვან ქავასიის სანამესტ-
ნიკოში.

(ზაგრძელება)

IV. ბ ა მ გ ე ბ ლ ო ბ ა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ის ა

საზოგადოების საქმეების მთავარ-მმარ-
თველობა ეკუთვნის საზოგადოების წევრ-
თა საერთო ყრილობას. ყრილობა ზო-
გი არის ჩვეული, ზოგი უჩვეული. ჩვე-
ული ყრილობა მოწოდებული იქნება
წელიწადში ერთხელ და იმ დროს, რო-
მელსაც თვითან ყრილობა დანიშნავს.

შჩვევლიდა ყრილობა შეიძლება საზო-
გადოების თავმჯდომემა ყოველ დროს
მოიხმოს, როდესაც საჭიროება მოით-
ხოვს. მძიმე საქმეების, ან საზოგადოების
მეების განსახილავათა და გადასაწყვეტად.

§ 12.

საზოგადოებისა და მმართველობის
თავმჯდომარედ აღირჩევა ერთი წევრთა-
განი სამი წლის ვადით.

§ 13.

საერთო ყრილობის საქმე არის:
ა. მაშინჯვა და დამტკიცება წლიური
ანგარიშისა;

ბ. მაშინჯვა განზრახულებათა, წინა-
დადებათა და მმართველობის მოხსენე-
ბათა;

გ. მაშინჯვა და დამტკიცება მომავე-
ლი წლისათვის შემოსავალ-გასავლის
მოსაზრებული ანგარიშისა;

დ. აღჩევა საზოგადოების ნამდვილი
წევრებისა და მმართველობის წევრებისა;

ე. შედგენა და დამტკიცება სხვა და
სხვა დარიგებისა საზოგადოების საქმე-
ების წარმოებაზედ;

ვ. აღჩევა შემოწმებული კომისიის-
სა, რომელმაც წლიური ანგარიში და
მმართველობის მოქმედება უნდა გაშინ-
ჯოს; აგრეთვე სხვა კომისიების შედგე-
ნა, როდესაც საჭიროება მოითხოვს, სხვა
გაცალკეებული საკითხავების განსახი-
ლავად, რაც კი საზოგადოების საქმეებს
შეეხება;

ზ. მაშინჯვა წინადადებათა, თუ ცვლი-
ლება ან დამატება იქნება რაიმე ამ წეს-
დებულებაში მოსახდენი.

და ც. მაშინჯვა და გადაწყვეტა ყო-
ველი წინადადებისა, რასაც წევრი რომ-
ელიმე წარმოსთქვამს საზოგადოების
მოქმედების კეთილ-წარსამართავად.

შენიშნვა. შოველი წინადადება
წევრისა შეიტანება მმართველობა-
ში შეიდი დღით მაინც უწინ, მა-
ნამდის საერთო ყრილობა შეიკრი-
ბებოდეს.

§ 14.

საერთო ყრილობაში საქმეები გადა-
წყდება ხმების მარტივი უმრავლესობით;
თუ ცვლილება მოითხოვება რამე, ან
დამატება ამ წესდებულებისა, მაშინ სა-
ჭიროა ორი მესამედი მაინც ყველა ხმე-
ბისა, რასაც შეკრებილნი წევრნი შეად-
გენენ; და ამ რიცხვში უნდა იყოს ნა-
ხევარი მაინც ყველა ხმებისა, რაც შემ-
დგენებს ეკუთვნით. რაც ამ გვარად
ცვლილება ან დამატება დაწესდება, სა-
ზოგადოების თავმჯდომარე წარუდგენს,
დადგინებულის წესით, მმართველობასა
დასამტკიცებელად. ხმა მოიკრიბება ცხა-
ლად, ან ფარულად, როგორც თვითან
ყრილობა არჩევს. მაგრამ ფარული მო-
კრება ხმებისა ვალი არის ყოველს იმ
შემთხვევაში, რაც პირ-და-პირ ცალ-
ცალკე წესში არის მოხსენებული.

